პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის, პარტიული კომიტეტის და გაერთიანებული პროფკომის მრავალტირაჟიანი გაზეთი

МНОГОТИРАЖНАЯ ГАЗЕТА КОЛЛЕГИИ, ПАРТИЙНОГО КОМИТЕТА И ОБЪЕДИНЕННОГО ПРОФКОМА МВД ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 21 (2865), ოროშაბათი, 23 მაისი, 1983 წ. ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

Газета выходит с 1926 года.

## კოლეგიის სხდომაზე

- **საკადრო საკითხი.**
- **გორის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების კომპლექსურ-საინსპექტორო შემოწმების შედეგები.**
- **მდგომარეობა დედაქალაქის პირველი მაისის შინაგან საქმეთა განყოფილებაში.**
- **რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ამოცანები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.**

კოლეგია საკადრო საკითხით დაიწყო. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საინსპექტორო განყოფილების უფროსად დაინიშნა მილიციის პოდპოლკოვნიკი ე. გენძეხაძე. კოლეგიამ საინსპექტორო განყოფილების მოადგილედ დანიშნა პოლკოვნიკი ვ. სემაშკო, ხოლო ინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსად, მილიციის მაიორი ი. შონია.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოც. საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილეები: მილიციის პოდპოლკოვნიკი ბ. ჭანტურიშვილი და მილიციის პოდპოლკოვნიკი ო. ზაბოიარკინი გადაყვანილია სამმართველოს განყოფილებების უფროსებად.

საჩხერის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსად დაინიშნა მილიციის კაპიტანი ქ. გოგსაძე.

გორის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების კომპლექსურ-საინსპექტორო შემოწმების შედეგები კოლეგიას გააცნო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა ჯ. ვეფხვაძემ. მან აღნიშნა, რომ გორის შს რაიონული განყოფილების მიერ, ადგილობრივ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, გარკვეული მუშაობაა გაწეული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის და რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

გასულ წელს, წინა წელთან შედარებით, რაიონში ოპერატიული მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესდა. დანაშაულის შემცირების ტენდენცია შენარჩუნებულია მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც. შემცირდა დანაშაულთა საერთო რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილება დადებითად წარმართავს მუშაობას.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულს რაიონში ადგილი არ ჰქონია. სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხაზით გამოვლინებულ დანაშაულთა რაოდენობა გაიზარდა.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ოპერატიულ-სამსახურებრივ საქმიანობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს. პირველ რიგში, სათანადო დონეზე არ დგას ორგანიზატორული საქმიანობა. სუსტია შესრულების შემოწმება და კონტროლი.

გასულ წელს, წინა წელთან შედარებით შემცირდა სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით რეგისტრირებულ საერთო და საშიშ დანაშაულთა გახსნის პროცენტი. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება მიმდინარე წელსაც. სუსტად მიმდინარეობს გაუხსნელ საქმეებზე მუშაობა. აგრეთვე აღინიშნა, რომ დაბალია უბნის ინსპექტორების როლი ადრე ნასამართლევ პირებთან მუშაობაში. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ გამოვლინდა დანაშაულის შემთხვევის სახელმწიფო აღრიცხვიდან დამალვისა და დამნაშავე პირის დაფარვის ფაქტები. სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორის, მილიციის კაპიტან ზ. მიხანაშვილის დაუდევრობის შედეგად პასუხისმგებლობას დააღწია თავი მოქ. ჯ. ბ-ძემ. უბნის ინსპექტორების, მილიციის უფროსი ლეიტენანტის ზ. ტლაშაძის მილიციის უფროს ლეიტენანტ ი. კლდიაშვილის და სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსის ს. ლომოურის მიერ სახელმწიფო აღრიცხვიდან დამალული იქნა ქურდობის ფაქტები. სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორის, მილიციის უფროსი ლეიტენანტის ბ. მღებრიშვილს არავითარი დოკუმენტი არ შეუდგენია გორის ექსპერიმენტალური ტექნიკუმიდან სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტთან დაკავშირებით.

კოლეგიაზე აღინიშნა ის სერიოზული ნაკლოვანებები, რაც შეიმჩნევა შს განყოფილების პირადი შემადგენლობის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის ხაზით.

კოლეგიამ იმსჯელა გორის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მიერ ჩატარებულ ოპერატიულ-სამსახურებრივ საქმიანობაზე და მათი მუშაობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად.

შინაგან საქმეთა გორის რაიგანყოფილების უფროსს, მილიციის მაიორს ზ. შერგელაშვილს დანაყოფის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის, გამოეცხადა საყვედური, დაევალა მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნა.

საალრიცხვო-სარეგისტრაციო დისციპლინის დარღვევისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების და მასზე დაქვემდებარებული მუშაკების მხრიდან დანაშაულის შემთხვევათა სახელმწიფო აღრიცხვიდან დამალვის ფაქტები, გორის შს რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილეს, მილიციის მაიორს გ. ძაგანიძეს გამოეცხადა არასრული სამსახურეობრივი შეუფერებლობა. სახელმწიფო აღრიცხვიდან დანაშაულის დამალვისათვის, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსს, მილიციის მაიორს, მილიციის უფროს ლეიტენანტს ბ. მღებრიშვილს გამოეცხადა საყვედური. უბნის ინსპექტორს, მილიციის უფროს ლეიტენანტ ჯ. მძინარაშვილს კი არასრული სამსახურებრივი შეუფერებლობა.

კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა შს გორის რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროს ინსპექტორზე, მილიციის კაპიტან ზ. მიხანაშვილზე და მილიციის ლეიტენანტ ი. კლდიაშვილზე, რომლებმაც ასევე სახელმწიფო აღრიცხვიდან დამალეს ქურდობის ფაქტები. ისინი დათხოვნილნი არიან შს ორგანოებიდან.

უბნის ინსპექტორს, მილიციის უფროს ლეიტენანტ ზ. ტლაშაძეს ჩამოერთვა მილიციის ფრიადოსნის სამკერდე ნიშანი.

პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის სუსტი ორგანიზაციისა და საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის, საყვედური გამოეცხადა გორის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილეს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში, მილიციის მაიორ თ. ბეთლემიძეს.

კოლეგიამ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის, სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოსა და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებას დაევალა, გორის რაიონის შს განყოფილებას გაუწიონ პრაქტიკული დახმარება.

კოლეგიაზე მკაცრი მსჯელობის საგნად იქცა დედაქალაქის პირველი მაისის შინაგან საქმეთა განყოფილებაში საალრიცხვო-სარეგისტრაციო დისციპლინის დარღვევის ფაქტი, კერძოდ, განყოფილებაში დაიმალა და რეგისტრაციაში არ გატარებულა ყაჩაღური თავდასხმა, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა მეორე დღესვე მიმართა განყოფილებას.

პირველი მაისის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის მაიორმა ო. ახმეტელმა არავითარი ოპერატიული ზომები არ მიიღო და უფრო მეტიც, არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. 6 თვის უშედეგო სიარულის შემდეგ დაზარალებულებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბს მიმართეს. ხელმძღვანელობის ჩარევით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და წარმოებისათვის გადაეცა პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელ იარაჯულს, რომელიც ფორმალურად მოეკიდა გამოძიებას, დაარღვია პროცესიალური ნორმები, რისთვისაც მას საქმე ხელახალი ძიებისათვის დაუბრუნა სასამართლომ.

აღნიშნულ საკითხებზე იმსჯელეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა გ. გვეტაძემ და დედაქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა დ. სალარიძემ.

დანაშაულის სახელმწიფო აღრიცხვიდან დამალვის გამო, ორგანოს რიგებიდან დათხოვილ იქნა პირველი მაისის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ინსპექტორი მილიციის მაიორი ო. ახმეტელი.

დაისახა შემდგომი საქმიანობის გამოსასწორებელი რეალური გზები.

კოლეგიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების შესასრულებლად დაავალა, საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდინარე წლის თებერვლისა და აპრილის ბრძანების თანახმად, გააძლიერონ ბრძოლა გამომძალველების, დატაცების, სპეკულაციისა და მექრთამეობის წინააღმდეგ.

# ПОСТАНОВЛЕНИЕ

## Коллегии МВД Грузинской ССР

**«ОБ ОДОБРЕНИИ ПОЧИНА КОЛЛЕКТИВОВ ОРГАНОВ, ПОДРАЗДЕЛЕНИЙ, УЧРЕЖДЕНИЙ МВД ГССР И ДАЛЬНЕЙШЕГО РАЗВЕРТЫВАНИЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО СОРЕВНОВАНИЯ В ОЗНАМЕНОВАНИИ 200-ЛЕТИЯ ГЕОРГИЕВСКОГО ТРАКТАТА».**

**Одобрить патриотический почин личного состава Телавского РОВД, производственных коллективов ИТУ и пожарных частей МВД ГССР, развернувших социалистическое соревнование в честь ознаменования 200-летия Георгиевского трактата.**

**Главными задачами социалистического соревнования считать реализацию государственных плановых заданий, повышение культуры, качества и эффективности милицейского труда, овладение смежными специальностями и мастерское владение специальной техникой и оружием, участие в пропаганде, организации наставничества, организаторской работе, экономии электроэнергии, горючего и топлива, продление межремонтных сроков эксплуатации техники.**

**Сосредоточить основные усилия коллективов учреждений, предприятий и строительных организаций министерства на завершение работ, ввод в строй пусковых строек и объектов, использование резервов производства, повышение производительности труда, выпуск продукции со знаком качества, выполнение плановых заданий и договорных обязательств.**

**Участие в социалистическом соревновании должно способствовать улучшению оперативно - служебной деятельности сотрудников и органов, укреплению связи и взаимодействия с добровольными народными дружинами, общественными пунктами охраны порядка, советами профилактики трудовых коллективов.**

**В ходе соревнования должна получить дальнейшее развитие настойчивая борьба за получение званий: «Лучший по профессии», «Лучшее подразделение (служба)», «Лучший дивизион, взвод», «Лучшая часть военизированной пожарной охраны».**

**Патриотический призыв «Сегодня работать лучше, чем вчера, завтра — лучше, чем сегодня» должен стать девизом каждого сотрудника и коллектива. Нужно добиваться, чтобы почин «Работать без отстающих», был подхвачен во всех органах, подразделениях и учреждениях МВД ГССР.**

**Для поощрения органов, подразделений, учреждений внутренних дел и отдельных сотрудников — победителей социалистического соревнования за достойную встречу 200-летия Георгиевского трактата учредить: награды для вручения лучшим МВД — УВД автономных республик и облгорисполкомов, коллективам городских, районных отделов внутренних дел и ИТК:**

**— 11 вымпелов имени Героя Советского Союза Галактиона Размадзе и денежных премий в размере 100 рублей для награждения победителей соцсоревнования за звание лучшего подразделения по службе:**

**— 2 вымпела имени Б. Шанидзе для награждения лучших пожарных частей:**

**— 25 памятных подарков — победителям соцсоревнования за звание «Лучший по профессии».**

**Итоги соцсоревнования в ознаменование 200-летия Георгиевского трактата подвести к Дню советской милиции, 10 ноября 1983 года.**

**Коллегия МВД ГССР выражает твердую уверенность в том, что коллективы органов, подразделений и учреждений внутренних дел, глубоко сознавая важность своего труда, выполнят программное требование партии об искоренении преступности и причин, ее порождающих, внесут достойный вклад в общереспубликанское социалистическое соревнование в ознаменование 200-летия породнения русского и грузинского народов.**

## ბედნიერი ბავშვობის დღესასწაული

**19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეა.**

**სწავლასა და შრომაში მოპოვებული ახალი წარმატებებით, პიონერული თაოსნობებით შეეგებნენ ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ლენინელები.**

**— მიიღე მამულო, ჩვენი პატაკი! — ყველგან — ქალაქად თუ სოფლად, გაისმა ალისფერყელსახვევიანი გოგონებისა და ბიჭების მჟექარე შეძახილი.**

**დიდი და სახელოვანი გზა განვლო საქართველოს პიონერულმა ორგანიზაციამ, საკავშირო პიონერიის ერთერთმა მოწინავე რაზმმა. ქართველი პიონერები იმთავითვე გვერდში ამოუდგნენ უფროსებს, წარჩინებული სწავლითა და გმირული შრომით თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ახალი ქვეყნის მშენებლობის საქმეში. გადიოდა წლები, პიონერული ორგანიზაციის სახელოვან. მატიანეს სულ ახალი და ახალი თაობები ემატებოდა.**



**...წლევანდელი პიონერული ზეიმი რუსთაველის პროსპექტის ახალ მოედანზე გაიმართა.**

**პიონერული ორგანიზაციის ზეიმში მონაწილეობდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორკესტრი.**



ფოტოები ო. ილურიძისა

# განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება

# УКРЕПЛЯТЬ СОЦИАЛИСТИЧЕСКУЮ ЗАКОННОСТЬ

## КОНЕЦ

Амплуа героя-любовника — удел избранных. Возможно, больше было бы претендентов на эту роль и на сцене, и в жизни, но вот сложился такой стереотип образа: красивый, высокий, обаятельный, остроумный, в общем, — неотразимый... Столько требований к герою-любовнику, что не всякий рискнет так много о себе заявить.

Удел «быть, как все», никак не устраивал участкового инспектора Горийского РОВД старшего лейтенанта милиции Клдиашвили Ю. А. И добиваться благосклонности женщин традиционным путем он тоже счел хлопотным: одной внешность не нравится, другую интеллект не устраивает... Короче, одни претензии.

И изобрел Клдиашвили, как он решил, универсальный прием покорения женских сердец. По долгу службы он был в курсе, если не всех, то многих семейных неурядиц в своем районе. Если в семье конфликт, то за помощью к участковому инспектору обращаются, конечно, женщины. И быстро понял Клдиашвили, что на фоне непутевого мужа, его кандидатура очень выигрывает.

Чем больше было побед, тем с большим вдохновением он утверждался на новом поприще. И в сентябре 1980 года, пользуясь тяжелым семейным положением гражданки Н., он в три часа ночи явился к ней на квартиру и предложил ей в обмен на ее благосклонность всяческую поддержку и помощь...

Тогда «рыцарский порыв» Клдиашвили получил должную оценку: заключением ИЛС УК МВД ГССР он был понижен в должности.

Разбирая по долгу службы семейный конфликт супругов С., Клдиашвили зачастил к ним в дом. Процесс проверки он построил как-то так, что ему «необходимо» было встречаться с гражданкой С. Это повлекло за собой пересуды соседей, недовольство родителей гражданина С.

Клдиашвили не снизошел до того, чтобы обращать внимание на такие мелочи. Процессом проверки он не предусматривал контакты с посторонними. Главная его забота — супруги С. Уделив должное внимание жене, он решил найти контакт и с мужем. Во всяком случае, так был понят Клдиашвили, когда пригласил гражданина С. с собой в гости в Каралетский совхоз в бригаду М.

Процесс ли проверки того требовал, по другим ли мотивам, но только Клдиашвили оставил застолье и вернулся в село Каралети, в дом своих подопечных. Там его и застали родители гражданина С., как раз в тот момент, когда участковый инспектор, мягко говоря, не совсем корректно, и в присутствии детей, добивался благосклонности гражданки С.

...Потратив время на «изучение» конфликта в семье С., Клдиашвили, к сожалению, не успел распознать характер супруга. За что и поплатился. Как гласит протокол, «гражданин С. на почве ревности нанес Клдиашвили И. А. ножевые ранения, опасные для жизни».

Вот так едва не закончилась биография Клдиашвили Ю. В. Спасибо врачам, повлияли на исход дела...

Но его биография как сотрудника органов внутренних дел закончена. На исход дела повлияло решение центральной комиссии по борьбе с нарушениями социалистической законности и негативными явлениями.

**Г. ПЕРЕГОЕДОВА.**

## СЕКРЕТ УСПЕХА

В МВД Абхазской АССР в числе передовых коллективов назвали Сухумский райотдел.

— Четвертый год выходят победителями, — сказал начальник отдела по политико-воспитательной работе подполковник Ю. А. Кобахия, и добавил, — а район Сухумский — трудный, самый сложный в Абхазии.

Высокогорье и курортная зона, средоточие промышленных объектов, самое отдаленное село Псху, находящиеся высоко в горах за несколькими перевалами. Зимой здесь сообщение только самолетами, да и не в любую погоду... А внизу, на побережье, — Дома отдыха, пансионаты, санатории, олимпийская база... На территории района свыше шестидесяти сел, в которых проживает почти 38 тысяч человек. А в разгар сезона число это значительно повышается за счет отдыхающих и туристов. И при этом здесь добились высокого процента раскрываемости преступлений.

Основное направление в работе коллектива — профилактика, широкая пропаганда правовых знаний, тесные контакты с местным населением и, конечно же, дисциплина.

За последнее время фактов нарушения трудовой дисциплины со стороны сотрудников райотдела не было. А в социалистических обязательствах, взятых на текущий год, четко сказано: искоренять всякого рода нарушения трудовой, государственной и исполнительской дисциплины.

Профилактическая работа — многогранна. Особое же внимание здесь уделяется учету лиц, ранее судимых, склонных к совершению преступлений, незанятых полезным трудом. Ежегодно в райотделе ставят на учет тунеядцев, потом трудоустраивают их.

Конечно же, работникам райотдела приходится заниматься и более сложными делами. Достаточно сказать, что лишь в прошлом году раскрыто несколько десятков преступлении по линии угрозыска. Среди них такие, как убийство, ограбление, кража.

Четкость, оперативность, профессионализм — характерные черты в работе сотрудников. Благодаря этому, преступления, как правило, раскрываются в считанные дни, а то и часы.

...В район ресторана «Эшера» прибыла очередная группа туристов, на сей раз это были гости из заграницы.

Обычно на этом месте отдыхающие осматривают живописный каньон, чарующий своей красотой окрестный пейзаж, отдыхают за чашкой кофе, покупают сувениры. И вот, когда одна из туристок, выбрав сувенир, хотела расплатиться, то обнаружила пропажу денег и драгоценностей. Об этом сообщили работникам милиции. Постовой милиционер зафиксировал номер «жигулей», которыми управлял человек, ранее судимый. Благодаря умелым, оперативным действиям, преступник был в сжатые сроки обнаружен, а самой туристке оставалось только поблагодарить работников милиции.

И таких случаев немало.

Рассказывая о людях райотдела, особое внимание хочется обратить на то, в каких условиях они работают.

Здесь считают немаловажным, как выглядит помещение, куда приглашают человека, пусть даже такого, кто сбился с пути.

Помещение райотдела милиции сейчас полностью реконструировано, благоустроены кабинеты, неузнаваемо изменилась дежурная часть, открыт буфет. Стены коридоров украшает красочно оформленные стенды. А два-три года назад серое, запущенное здание райотдела милиции не являлось украшением центральной части города-курорта.

Своими силами построены и переоборудованы помещения оперпостов в селах Нижняя и Верхняя Эшера, в Одиши, по улице Чанба. Все посты имеют теле- и радиосвязь. Конечно же, все это немаловажно в работе.

Отношение к работе, традиции коллектива зависят от людей: таких, как ветеран милиции работник розыска майор А. Матуа, старший инспектор отдела БХСС капитан А. Циколия, инспектор по профилактике Лидия Бощеван, начальник паспортного отдела кавалер ордена «Дружбы народов» участковый инспектор Циала Циколия, Евгения Сангулия и других.

Они не подведут в нужную минуту.

**«МГБС».**

## მოძრაობის უსაფრთხოებაზე ზრუნვით

სადღეისოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოების ერთ-ერთი მტკივნეული და საჭირბოროტო პრობლემაა. ყოველწლიურად საავტომობილო გზებსა და ქალაქების ქუჩებში ავტოკატასტროფების შედეგად იღუპებიან და სახიჩრდებიან ადამიანები. მატერიალური და რაც მთავარია, მორალური ზარალი იმდენად დიდია, რომ ამ პრობლემას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

სწორედ ამ პრობლემატურ საკითხებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო განყოფილების თაოსნობით ამ დღეებში, ზუგდიდში, „ენგურქაღალდკომბინატის" კულტურის სასახლეში ჩატარებული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება — „ქალაქ ზუგდიდის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საგზაო-მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის გაძლიერებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების საქმეში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 21 დეკემბრის დადგენილების, „ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე", მოთხოვნილებების შუქზე".

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გახსნის წინ მოისმინეს გმირი დედის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მალვა სვირავას ღია წერილი ზუგდიდელი მშრომელებისადმი — „შვილებო, შეისმინეთ დედის ღაღადისი".

„ათი შვილი გავზარდე და კარგად ვიცი დედის სიხარული და დედის გაჭირვებაც.

დედამიწის ზურგზე არ მეგულება შვილზე მგლოვიარე დედაზე უფრო გულმოკლული ადამიანი.

შვილის დაკარგვა დედის გულში მარად მოუშუშებელ იარად ფეთქავს; ბევრ დედას ჩააცვა შავები სამამულო ომმა. იმ ქარცეცხლიან დღეთა გახსენება ახლაც ტკივილით კუმშავს ჩვენს გულებს. ძნელბედობის დრო იყო, ვკარგავდით მამებს, ძმებს, შვილებს, მაგრამ გული მაინც პოულობს ნუგეშს, რადგან სამშობლოს წმინდა სამსხვერპლოზე მიტანილმა მათმა სიცოცხლემ მსოფლიო იხსნა ფაშიზმისაგან.

დღეს, თუმცა მშვიდობიანი ზეცა დაგვყურებს და ყველგან სამშვიდობო და საინტერესო შრომაა გაჩაღებული, როცა, გულისფანცქალით აღარ ველით ომში წასული ჯარისკაცის სამკუთხა წერილებს და აღარ გვაშინებს ფოსტალიონის კართან გამოჩენა, მაგრამ მაინც მშვიდად არაა დედის გული, რადგან მოელის შვილს, რომელიც ავტომობილით გაისტუმრა.

დღეს იშვიათია ოჯახი, რომ მისი რომელიმე წევრი ავტომობილის საჭეს არ მართავდეს. ჩემი ათი შვილიდან სამი ავტომობილს მართავს. ყოველ საღამოს შიშით გავცქერი მათ გზას, როგორ დამიბრუნდებიან ისინი! მე ეს არ მაშინებს.

არა, არ შეიძლება დედის გაჩუმება, შვილის დამკარგავმა დედამ, რომელმაც ბევრი ღამე ათია შვილის გაზრდაში, ტირილით აღარ უნდა ამოიღამოს თვალები.

დედებო! ნუ მოერიდებით შვილის უკმაყოფილებას, ყოველ ცისმარე დღეს შეახსენეთ, დედა-შვილობა დააფიცეთ, რომ მთვრალებმა არ მართონ ავტომობილი, დაიცვან მოძრაობის წესები, პატივი სცენ ადამიანებს, მოაგონეთ ის უბედური შემთხვევები, რომელიც ავტოავარიებმა გამოიწვია. დედა ხომ შვილის ხატი და საფიცარია. აუცილებლად დაგვიჯერებენ ჩვენ, დედებს, თორემ ვინ ანუგეშებს ბორის კახიანის, ვიტალი დარასელიას, მამუკა ჭითანავას, და-ძმა რუსუდან და მამუკა ფარცვანიების დედებს; რა გაუმთელებს მათ გულს! რა ჭირთათმენა ეყოფა ახალგაზრდა ოჯახის დამკარგავი რინოსი თოდუას დედას? ასეთი დედები რამდენი არიან საქართველოში?! ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ, ყოველწლიურად ავარიების შედეგად საქართველოში 900 ადამიანზე მეტი იღუპება. ყველას ხომ დედა, შვილი, ახლობელი და ჭირისუფალი ჰყავს!

დედა ხომ ოჯახის ბურჯია! ოჯახი კი იშვიათია სტუმრისა და წვეულების გარეშე. ქართული ტრადიცია სტუმართ-მასპინძლობის ჭეშმარიტი განსახიერებაა, მაგრამ ზოგჯერ ოჯახებში და წვეულებებზე ეს ტრადიცია მახინჯდება, ქეიფი ღრეობად იქცევა, დროსტარება—სმაჭამად, ღვინოს აძალებენ ყველას, დიდსა და პატარას, უმანქანოს და მანქანიანს, სიცილით ხვდებიან თხოვნას, რომ ვინც მანქანას მართავს, ღვინის დალევის უფლება არ აქვს, ზოგჯერ ლაჩრად და მშიშარადაც კი ნათლავენ ასეთ კაცს. ზოგი კი პირიქით, ვაჟკაცობად მიიჩნევს ღვინის სმას და მერე ავტომობილს მართავს, ვაი, ასეთ ვაჟკაცობას!

დედებო, დროა მივხედოთ ასეთ სტუმარ-მასპინძლობას! როგორ უნდა იყოს მშვიდად ის დედა, ის დიასახლისი, ვინც მთვრალი სტუმარი მანქანამდე მიაცილა, საჭესთან მიუშვა და განუკითხავად, ბედის ანაბარა გაუშვა.

შვილებო, შეისმინეთ დედის ღაღადისი!"

ჩაბნელებულ დარბაზში, წერილის ტექსტს კინოეკრანზე თან სდევდა შესატყვისი ფოტოსლაიდები — საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა შედეგად დამსხვრეული ავტომანქანები...

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გახსნა ზუგდიდის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. შენგელიამ.

ქ. ზუგდიდში საგზაო-მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღკვეთა-აცილებისათვის გაწეული საქმიანობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. ჯანჯღავა.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თოდუა, ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი ო. ჭითანავა, ზუგდიდის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ყალიჩავა, რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი ბ. წიფურია, ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების დირექტორი გ. ნარმანია, ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ავტოინსპექციის სამსახურის უფროსი, მილიციის კაპიტანი ი. მესხი, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, ზუგდიდელი მუშა ვ. ფხაკაძე, გაზეთ „მებრძოლის" რედაქტორი ა. ჭანტურია, ზუგდიდის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს პარტბიუროს მდივანი გ. ლაგვილავა და ტაქსომოტორების ვეტერანი მძღოლი ვ. გეგეჭკორი.

კამათში გამოსულებმა ერთხმად აღნიშნეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღკვეთის და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბრძოლის გაძლიერებისათვის გამიზნული საქმიანობის აქტუალობა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა გ. შალამბერიძემ, ფართოდ გააშუქა რესპუბლიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით შექმნილი მდგომარეობა, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გაწეული საქმიანობა და სამომავლო ამოცანები.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებას ესწრებოდნენ: საქართველოს კომპარტიის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე გ. გუმბარიძე, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე ო. მხეიძე, რესპუბლიკის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი გ. ნანეიშვილი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების, მეზობელი რაიონების შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების თანამშრომლები და საზოგადოებრივი აქტივი.

ზუგდიდის საქალაქო პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია: მიუხედავად ბოლო წლებში ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შემცირებისა, მათი რიცხვი ჯერ კიდევ დიდია და იწვევს სამართლიან შეშფოთებას. ამ გარემოებაზე მიუთითებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, გმირი დედის — მ. სვირავას ღია წერილი ზუგდიდელი მშრომელებისადმი. ცალკეულ სატრანსპორტო ორგანიზაციებში შექმნილია უკონტროლობის ვითარება, არ წარმოებს მძღოლთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, მოისუსტებს შრომითი და საწარმოო დისციპლინა. ჯერ კიდევ სუსტია საზოგადოებრიობის კონტაქტები შინაგან საქმეთა ორგანოებთან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოძრაობის წესების 10 საათიანი პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მდგომარეობა, სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ დაამტკიცა ქ. ზუგდიდში საგზაო-მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის გაძლიერების 1983-84 წლების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა. კრების მონაწილეებმა აღუთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ქალაქის კომუნისტები, მშრომელთა კოლექტივები ყველა ზომებს მიიღებენ ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცებისათვის, ფართოდ გააჩაღებენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გამიზნულ უკომპრომისო ბრძოლას. საბოლოო საუკეთესო შედეგების მისაღწევად.

**ა. ბუხრაშვილი.**

# დამრიგებელი

მდიდარი და საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გავლილი ვალერიან ნაჭყებიას. რაიონში ძნელად შეხვდებით ადამიანს, მას რომ არ იცნობდეს. იცნობენ, როგორც კარგ მოქალაქეს, პრინციპულ კომუნისტს, მილიციის ახალგაზრდა მუშაკების მრჩეველსა და დამრიგებელს.

...გალის № 4 საშუალო სკოლის ვ. ი. ლენინის მუზეუმი საზეიმოდ იყო მორთული. მილიციის ახალგაზრდა მუშაკები შეხვედრას უწყობდნენ ვეტერან ჩეკისტებს. როგორც ყოველთვის, პირველი ვალერიანი მოვიდა. ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და გამოვესაუბრეთ. მალე სხვებიც შემოგვიერთდნენ. ახალგაზრდებს ვალერიანმა თავისი ცხოვრებისა და მუშაობის ეპიზოდები მოგვითხრო.

ვ. ნაჭყებია 1926 წელს დაიბადა გეგეჭკორის რაიონის სოფელ კურზუში, აქვე მიიღო საშუალო განათლება. ჯერ ორი წელი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კომენდატურაში მუშაობდა, შემდეგ კი — წალენჯიხის უშიშროების რაიონულ განყოფილებაში. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კურზუს კოლმეურნეობას. დაუსწრებლად დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, მუშაობდა დღვანის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.

1963 წელს ვალერიანი საცხოვრებლად გალში გადადის და იქ იწყებს ჩეკისტურ ცხოვრებას.

11 წელზე მეტი იმსახურა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში ვალერიან ნაჭყებიამ. 11 წელი იბრძოლა პირნათლად ყოველგვარი დანაშაულის წინააღმდეგ. სხვადასხვა დროს მუშაობდა უბნის ინსპექტორად, ოპერატიულ რწმუნებულად, რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ პოლიტდარგში. დღე და ღამეს ასწორებდა და ნდობას ამართლებდა.

ბევრი საინტერესო ეპიზოდი ახსოვს ვალერიან ნაჭყებიას. ბევრჯერ სიკვდილის პირისპირ მდგარა, მაგრამ უკან არ დაუხევია. პირველი საბრძოლო ნათლობაც ამგვარი



იყო, როცა განყოფილების სამძებრო ჯგუფმა ა. უბილავას, ვ. ნაჭყებიას და გ. ჯინჯოლიას შემადგენლობით განსაკუთრებით საშიში დამნაშავე — მკვლელი დააკავა.

ნაჭყებიამ თავისი გამჭრიახობით, მიხვედრილობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაერთი დამნაშავის გამოვლენისა და დაკავების საქმეში. ამის უტყუარი დადასტურებაა ხელმძღვანელობის მიერ გამოცხადებული არაერთი მადლობა.

ვალერიანს არაერთი ახალგაზრდა აღუზრდია, ბევრისთვის თავისი მდიდარი გამოცდილებაც გაუზიარებია; მილიციის კაპიტანი, რაიგანყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი დ. ალანია მადლიერების გრძნობით ამბობს:

— პატივცემული ვალერიანი ჩემი პირველი მასწავლებელია, მას გულთან მიჰქონდა ჩემი ყველა წარმატება თუ წარუმატებლობა; მასწავლიდა ცხოვრების ავ-კარგს და უანგაროდ მეხმარებოდა.

ვალერიანი 1974 წელს გავიდა პენსიაზე, მაგრამ საზოგადოებრივი საქმიანობა არ შეუწყვეტია. ის განყოფილების საზოგადოებრივი აზრის საბჭოს წევრია, ხელმძღვანელობს მილიციის ვეტერანთა საბჭოს.

მამის პირადი ცხოვრება და შრომითი საქმიანობა, მისი ვაჟკაცური შემართება საოცნებო მაგალითი გახდა უმცროსი გოგონასათვის. ნანა ნაჭყებიამ სკოლის დამთავრების შემდეგ ორი წელი იმუშავა წარმოებაში. აქვე შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1979 წელს მის ოცნებას ფრთები შეესხა — იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ნანამ გასულ წელს პრაქტიკა გალის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში გაიარა; იგი მამის გზის ერთგული დარჩა. ორი წლის შემდეგ სამართლიანობის, პირუთვნელობისა და კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის უწმინდეს კვერთხს ღირსეულად დაიჭერს ნანა ნაჭყებია, რათა უმწიკვლოდ იაროს პატიოსანი მამის ნაკვალევზე.

**ჯ. გაბელია,**
**შინაგან საქმეთა გალის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში.**
**ჩვენი შტატ. კორ.**

# რსდმპ მეორე ყრილობის 80 წლისთავის გამო

— 1903 წლის 30 ივლისს გაიხსნა რსდმპ მეორე ყრილობა, რომელზეც შეიქმნა ბოლშევიკური პარტია. ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდა ახალი ტიპის პარტია — მუშათა კლასის პარტია, მეცნიერული კომუნიზმის პარტია, სოციალისტური რევოლუციის და კომუნისტური აღმშენებლობის პარტია.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ საჭიროა ჭეშმარიტად რევოლუციური პარტია და სათავეში ჩაუდგა მისი შექმნისათვის ბრძოლას. 1898 წელს გამართულმა რსდმპ პირველმა ყრილობამ გამოაცხადა პარტიის დაარსება, მაგრამ ვერ შესძლო შეექმნა იგი როგორც ერთიანი ცენტრალიზებული ორგანიზაცია. ეს ამოცანა შეასრულა ლენინური „ისკრის“ მიერ მომზადებულმა მეორე ყრილობამ.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებული ბოლშევიკთა პარტია სათავეში ჩაუდგა პროლეტარიატისა და მისი მოკავშირეების განმათავისუფლებელ ბრძოლას და მშრომელთა მასები ძლევამოსილ ოქტომბრამდე მიიყვანა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ძირეულ შემობრუნებას კაცობრიობის ისტორიულ ბედში, დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ერა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შექმნის მომენტიდანვე განუხრელად ხელმძღვანელობს პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად იცავენ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ასრულებენ რა ლენინის ანდერძს კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დღენიადაგ ფხიზლობენ სიფხიზლეს. ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცებისათვის. ლენინური პარტიისათვის განვლილი გზა ბრძოლისა და გამარჯვებების ჭეშმარიტად გმირული გზაა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა გრანდიოზული გარდაქმნები, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს არა მარტო ქვეყნის ბედზე, არამედ ძირეულადაც შესცვალეს მსოფლიო ისტორიის მსვლელობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი, ღირსეულად შეხვდებიან პარტიის ისტორიის სახელოვან თარიღს-რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავს და მას აღნიშნავენ ახალი შრომითი წარმატებებით ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

**მ. კუტივაძე**

# СЛУЧАЙ НА УЧАСТКЕ, ГДЕ ВСЕ БЫЛО СПОКОЙНО...

Даже теперь, когда все осталось позади, Джемал Пицхелаури не может спокойно рассказывать о событиях того страшного дня.

...Предмайский день для участкового инспектора Джемала Пицхелаури заканчивался как обычно. Обход территории, проверка «неблагонадежных» на дому, и, наконец, возвращение домой, как всегда, далеко за полночь. Все было, как обычно, только домой в эту ночь Джемал не вернулся. И майский праздник он встретил в больнице.

...Возле магазина № 17, что в поселке Лило, Джемал Пицхелаури встретил жителя своего участка Шукри Гобеджишвили. Участковому инспектору не раз приходилось беседовать с ним, даже строго предупреждать начать работать, не раз его трудоустраивал на работу и не один раз он оставлял ее.

На сей раз Шукри был «навеселе», но, увидев участкового инспектора, Гобеджишвили засуетился.

Джемал подошел к нему, поговорил с ним и попросил его пойти домой и отдохнуть.

Разве мог Пицхелаури подумать, что затевает против него Шукри?

...Джемал Пицхелаури зашел в магазин, а за ним, смешавшись в толпе людей, прошел в магазин и Гобеджашвили.

Удар в левое плечо был неожиданным. Он почувствовал жгучую боль и в области грудной клетки. Видел он и Шукри с ножом в руках...

А дальше? Дальше была трудная операция за спасение его жизни. И благодаря золотым рукам профессора Э. Тодадзе и врача А. Махмурова Пицхелаури выжил. Тут сказался и его крепкий организм: он мастер спорта по самбо.

Уже после операции, лежа на больничной койке, Джемала охватывало двоякое чувство: чувство благодарности к своим сослуживцам, коллегам и чувство гордости за то, что он работает рядом с такими замечательными людьми. Круглосуточно дежурили у его кровати сотрудники. Приходили к нему знакомые и незнакомые ему люди. Были у него и Министр внутренних дел ГССР генерал-лейтенант в/с Г. И. Гветадзе, и первый секретарь Заводского РК КП Грузии К. Капанадзе и многие другие.

Но в глубине души Джемала Пицхелаури мучает другой вопрос: как могло произойти такое, и именно на его участке, где он верил, доверял своим жителям, где от него никто ничего не скрывал?.. Почему?

Около 10 лет работает участковым инспектором в Заводском РОВД г. Тбилиси капитан милиции Джемал Федорович Пицхелаури. Благодарностью за его труд могут служить письма, которые получили в райотделе от жителей его участка.

— Мы, жители поселка «Грузсельмаш», хотим сказать искреннее спасибо нашему участковому инспектору Джемалу Пицхелаури за спокойствие в нашем поселке.

Это спокойствие — результат кропотливой каждодневной работы по выявлению и трудоустройству лиц, не занятых общественно-полезным трудом, профилактической работы по предупреждению и пресечению правонарушений.

Боль и переживания участкового инспектора о случившемся вполне понятны...

* * *

Рассказывая об этом факте, нельзя не отметить одну деталь: об отношении общественности к случившемуся.

Сотрудник милиции, истекая кровью, повалил убийцу и обезоружил его, но доставить в райотдел милиции у Джемала Пицхелаури не хватило сил... И воспользовавшись тем, что участковый инспектор терял сознание, преступник сбежал...

А что же люди, которые находились в тот момент в магазине? Почему они не помогли сотруднику милиции выхватить из рук убийцы нож и доставить в райотдел? Ведь были среди них и мужчины, которые, наверное, при случае глагольствуют о мужской чести и достоинстве, даже не прочь при женщинах блеснуть «рыцарством». А куда же это все подевалось в тот день, когда, действительно, понадобилась их помощь? Почему они прошли мимо беды человека, который всю свою жизнь посвятил борьбе за их интересы и права? И не только прошли мимо? Даже не помогли доставить раненного в больницу...

...Может быть, кто-нибудь из тех, кто в тот день находился в магазине, прочитав эту статью, осознает свою ошибку и пересмотрит свое отношение к «своим» и «чужим».

**А. СААКАДЗЕ.**
**Наш спец. корр.**

# სასურველია დაზუსტდეს

აპრილში გამოქვეყნდა სსრ კავშირის კანონის პროექტი შრომითი კოლექტივების როლის ამაღლების შესახებ საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მართვაში.

აღსანიშნავია კანონპროექტის რეგულირების სფეროს ფართო ხასიათი. იგი თანაბრად ეხება ყველა ტიპისა და დანიშნულების შრომით კოლექტივს — იქნება იგი სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, კოოპერაციული ორგანიზაციისა თუ ნებისმიერი სხვა სახის შრომითი კოლექტივი.

ახალი საკანონმდებლო აქტის პროექტში კიდევ უფრო დაკონკრეტდა და დაიხვეწა სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-4 და მე-9 მუხლების მოთხოვნები სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების, სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებაში, შრომითი კოლექტივების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ.

ამ ახალი ნორმატიული აქტის მიღება და მისი ცხოვრებაში განუხრელად გატარება, როგორც ეს თვით კანონპროექტშია აღნიშნული, ხელს შეუწყობს იმას, რომ თითოეული მშრომელი თავის საწარმოში ქვეყნის წარმომადგენლად და ბატონ-პატრონად გრძნობდეს თავს.

ახალი კანონპროექტის მრავალ სხვა დადებით მხარეებთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ მასში ცალკე მუხლად არის ჩამოყალიბებული შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებანი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად კი აქ მათი სამართლებრივი აღზრდაც არის გათვალისწინებული. კერძოდ, კანონპროექტის მე-17 მუხლში ხაზგასმულია, რომ შრომითი კოლექტივები ახორციელებენ კოლექტივის წევრთა კომპლექსური, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებებს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თუკი დღემდე მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა მათი კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მხოლოდ პარტიულ დოკუმენტებსა და თეორიული ხასიათის ნაშრომებში იხსენიებოდა, ამიერიდან იგი საკანონმდებლო წესითაც დგინდება. თანაც ეს კეთდება უაღრესად მწყობრი და სრულყოფილი სახით. ეს კანონპროექტის დიდი ღირსებაა. იგი უპირველეს ყოვლისა შრომითი კოლექტივის — სოციალისტური საზოგადოების, ამ ძირითადი უჯრედის როლსა და პასუხისმგებლობას ზრდის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, კანონპროექტის მე-17 მუხლი მაინც იმსახურებს ზოგიერთ შენიშვნას.

კერძოდ, მუხლი დასათაურებულია შემდეგნაირად: „შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებანი კომუნისტური აღზრდის მუშაობის ორგანიზაციაში“. მისი შინაარსის გაცნობისას კი ნათლად ჩანს, რომ თვით კომუნისტური აღზრდის ამოცანები, მისი ძირითადი მიმართულებანი, განხილულია არა ცალკე, დამოუკიდებლად, გამოყოფილად და იზოლირებულად, არამედ, სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებასთან მჭიდრო, ორგანულ კავშირში.

ეს სავსებით ლოგიკურია. დღეს, როცა სოციალისტური დისციპლინისა და სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცება ჩვენი საზოგადოების წინსვლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, ცხადია, ყოველი მშრომელისა და ყოველი შრომითი კოლექტივის მონაწილეობა ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეა.

სწორედ ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ერთგვარი შეუსაბამობის შთაბეჭდილებას ტოვებს ის გარემოება, რომ სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებაში შრომითი კოლექტივის მონაწილეობის ეს მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი თვით მუხლის სათაურში ასახვას ვერ პოულობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული მუხლის შემდგომი რედაქციული სრულყოფის მიზნით, სასურველია მას ეწოდოს: „შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებანი სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში“.

გარდა ამისა, ამ მუხლის ბოლო ნაწილი, სადაც მოცემულ სფეროში შრომითი კოლექტივების ამოცანებია განსაზღვრული, სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მონაწილეობენ სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებაში, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში, ახორციელებენ სამართალდამრღვევ პირთა ხელახალი აღზრდის ღონისძიებებს“.

ასეთი რედაქცია, ჩვენის აზრით, უფრო უკეთ გადმოსცემს იმ უშუალო ლოგიკურ კავშირს, რაც არსებობს ამ მუხლის შინაარსსა და სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნებს შორის.

**ზ. ალავიძე**
**ჩვენი შტატგარეშე კორესპონდენტი.**

# ОТВЕТСТВЕНЕН ЗА... СОБРАНИЕ

В органах и подразделениях внутренних дел республики прошли собрания личного состава по обсуждению обращения коллегии МВД СССР. Они стали для каждого сотрудника подлинной трибуной принципиальной, откровенной оценки результатов своей работы.

Однако не во всех органах и подразделениях внутренних дел руководители, секретари первичных партийных и комсомольских организаций подошли к их проведению со всей ответственностью.

Примером такого отношения к проведению собрания можно назвать подразделение по охране сооружений Тбилводопровода УВД г. Тбилиси.

О некачественном, формальном проведении собрания личного состава по обсуждению обращения коллегии МВД СССР, о халатном отношении самого заместителя начальника подразделения по политико-воспитательной работе капитана милиции Р. Пeрадзе говорилось на проведенном на днях совещании в отделе политико-воспитательной работы МВД ГССР.

Несмотря на то, что 13 апреля в подразделении, якобы, было проведено собрание, все же нужно сказать, что личный состав с текстом обращения по сей день так и не ознакомлен.

Это произошло потому, что на собрании присутствовало меньше половины личного состава подразделения. Не были проведены и политические занятия по теме «Сотрудник органов внутренних дел — образец верности присяге и служебному долгу».

Подготовленное на скорую руку вместо доклада выступление капитана милиции Р. Перадзе не содержало анализа состояния дисциплины и соблюдения соцзаконности, не было принципиальным, критичным.

Такими же были и выступления руководителей служб. В них не была дана принципиальная оценка положению дел в подразделении, не говорилось о конкретных нарушителях дисциплины, не скрывались причины и условия, способствующие нарушениям дисциплины и соцзаконности, не ставились конкретные предложения по улучшению работы. Вся критика прозвучала лишь в адрес тех сотрудников, которые уже уволены из органов внутренних дел. Таким же безликим было и принятое на собрание постановление.

За провал собрания личного состава по обсуждению обращения коллегии МВД СССР отдел политико-воспитательной работы МВД ГССР принял решение о ходатайстве перед руководством министерства о дисциплинарной ответственности капитана милиции Р. Перадзе и обратился к партийной организации подразделения с просьбой рассмотреть вопрос партийной ответственности остальных сотрудников, виновных в срыве собрания.

М. ЯКОБАШВИЛИ.

# მადლობა სამაგალითო სამსახურისათვის

წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მორიგე ინსპექტორის, მილიციის ლეიტენანტ რ. ქომეთიანის და საპატრულო საგუშაგო სამსახურის მილიციელების, რიგოსნების მ. ქვაჩაკიძისა და ა. აშვეთიანის, ურთიერთშეთანხმებული და გონივრული მოქმედების საფუძველზე არაერთი დამნაშავის პარპაში აღიკვეთა.

ასე იყო იმ დღესაც. ქ. წყალტუბოში ფრუნზეს ქუჩაზე, მათ მიერ დაკავებული იქნა ქ. სოჭის მექანიზაციისა და ავტო-მოტო ტრანსპორტის № 4627 ბაზის კუთვნილი ზილ-130 მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომერი 64-32 უშ, რომელსაც მართავდა გურამ ესტატეს ძე ქვარიანი, დაბადებული 1959 წელს. მცხოვრები ქ. სოჭში, კრასნოდარის ქუჩა № 10-ში. მილიციის მუშაკებს ალღომ არ უმტყუნათ, ქვარიანის ავტომანქანის სალონში აღმოჩნდა დიდი რაოდენობის დეფიციტური საქონელი.

გ. ქვარიანის „შემოქმედებას" საბოლოო წერტილი დაუსვეს მილიციის მუშაკებმა.

მადლობა მათ სამაგალითო სამსახურისათვის.

ე. ბაბუნაშვილი.
ჩვენი კორ.

# საბედისწერო დღე

შემზარავი ამბავი მოხდა დმანისის რაიონში. სკოლის მოსწავლეებმა გზაზე ნახეს სოფელ დიდი დმანისის საბჭოთა მეურნეობის დარაჯის ა. მარტიროსოვის გვამი.

...დიდხანს დასტიროდნენ ოჯახის წევრები და თანასოფლელები დანით დაჩეხილ, უწყინარ პენსიონერს, სოფელ დიდი დმანისის მკვიდრს ა. მარტიროსოვს.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ მივიდნენ რაიონის პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი და ოპერატიული ჯგუფი დმანისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის ხელმძღვანელობით.

ექსპერტმა გულდასმით დაათვალიერა გვამი, რომელსაც მკერდში დანით მიყენებული 12 ჭრილობა აღმოაჩნდა.

მეორე დღესვე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა დმანისის რაიონის პროკურატურაში.

დასაწყისში თითქოსდა ბურუსით იყო მოცული ა. მარტიროსოვის მკვლელობა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამართველოს უფროსი ინსპექტორის, მილიციის კაპიტან ო. ბარჯაძის, პროკურატურის გამომძიებელ კვინიკაძისა და ბოლნისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომელთა მიერ არაერთი ოპერატიული და საგამომძიებლო ღონისძიების გატარების შედეგად დადგინდა, რომ იმ საბედისწერო დღეს, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მამა-შვილი ოჯახში წალაპარაკდნენ. მამა სახლიდან გაბრაზებული გამოვიდა და ნაკვეთში გასწია სამუშაოდ. გზად ტყე უნდა გაევლო. სწორედ ამ ტყეში ჩაუსაფრდა მას ცივი იარაღით შეიარაღებული შვილი, რომელმაც მამას დანით არაერთი ჭრილობა მიაყენა. ა. მარტიროსოვი ადგილზევე გარდაიცვალა. გამხეცებულმა ვაჟმა იგი გზაზე დააგდო და ვითომ არაფერიო, სახლში დამშვიდებული წავიდა.

10-15 წუთის შემდეგ „გულდათუთქული" შვილი მამის ცხედართან ურცხვად ქვითინებდა.

როგორც გამოირკვა, მარტიროსოვის ოჯახში დავა და უსიამოვნება დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ 1978 წელს, ვაჟა მარტიაშვილი, გარდაცვლილის ვაჟი, მამის შეურაცხყოფისათვის წარდგენილი იქნა შინაგან საქმეთა განყოფილებაში. მაშინდელმა უბნის ინსპექტორმა, ამჟამად განყოფილების პროფილაქტიკის სამსახურის უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის კაპიტანმა რ. მინიაშვილმა, რომელსაც მაშინაც და ახლაც ევალებოდა გაეტარებინა სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებები, საქმისადმი უყურადღებობითა და ზერელე დამოკიდებულებით სასტიკი საყვედური დაიმსახურა. ასევე სასტიკი საყვედური დაიმსახურა სოფელ დიდი დმანისის უბნის ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა დ. ციხელაშვილმა, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია მარტიროსოვების ოჯახს და დროულად ვერ უზრუნველყო მათი ოჯახური კონფლიქტის მოგვარება.

სწორედ ორგანოს თანამშრომელთა უყურადღებობამ, საქმისადმი ზერელე, ბიუროკრატიულმა მიდგომამ, სავალალო შედეგამდე მიიყვანა მარტიროსოვების ოჯახი.

შვილმა მოკლა მამა... დიახ, ვაჟა მარტიაშვილმა, შემთხვევის მესამე დღესვე აღიარა ჩადენილი დანაშაული და აღნიშნა, რომ ეს შეგნებულად გააკეთა.

დიდ დმანისში გამართულმა სოფლის ყრილობამ დაგმო ვ. მარტიაშვილის საქციელი. ყრილობაზე გამოსულმა მშრომელებმა ერთხმად მიუთითეს, რომ ზემოთ აღნიშნული დანაშაული შეიძლება თავიდან აგვეცილებინა საზოგადოებისა და წესრიგის დამცველთა დახმარებით.

მაგრამ როგორც იტყვიან, გვიანღაა თითზე კბენანი.

ნ. ოტიაშვილი.



Подбор и расстановка кадров, их первоначальная подготовка — вот основной курс кадрового аппарата МВД Аджарской АССР. Большое внимание уделяет этому вопросу начальник инспекции по личному составу отдела кадров Министерства, капитан милиции А. Нинидзе. В основном на работу приходят по рекомендации коллективов предприятий республики, демобилизованные воины, передовая молодежь.

**НА СНИМКЕ: А. Нинидзе (слева) во время оформления на работу молодых сотрудников А. Турманидзе и Н. Махарадзе.**

Фото **М. Пешкова.**

# «КОГДА ПОГАСНУТ ФОНАРИ?»

Глядишь и диву даешься! На небосклоне ярко сверкает солнце. Но, вероятно, его свет недостаточен в дневное время жителям Гладанского массива и работникам ТУЭСа «пошли навстречу» — свет лампионов наружного освещения не гаснет и в дневное время. Наверное, руководство ТУЭСа не совсем донимает цена расходуемой бесцельно электроэнергии, или яркие огни лампионов ослепили их?

Каждая лампа потребляет 450 ватт и, если эти ватты помножить на десятки и сотни, то о сумме говорить не приходится.

Возможно, этому вопросу следовало бы уделить внимание и другим газетам, но нас интересует позиция Глданского райотдела внутренних дел.

А разве не из государственной копилки расходуются киловатты некоторыми владельцами автомашин, которые во избежание угона их личного движимого имущества направляют на всю ночь на стоящие у подъездов машины яркие прожектора?

Нет никакого дела до таких «пустяков» и работникам милиции — участковым инспекторам, обслуживающим этот район.

А с них спрос и за экономию государственного добра, и спрос большой. Так спросим у них: неужели и их очи «ослеплены» яркостью лампионов. Зададим же и компетентным организациям конкретный вопрос: когда погаснут фонари?

М. ПЕКЕЛИС.

# მანქანის გამტაცებელი გაება

1983 წლის 31 მარტს ყვარლის შს რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილში გამოცხადდა სოფელ გრემში მცხოვრები მოქ. ტ. ხეჩიაშვილი, რომელსაც კუთვნილი ავტომანქანა „გაზ-24" მოსტაცეს. სასწრაფოდ შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორის, მილიციის კაპიტან ქოჩორაშვილის, საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორების: მილიციის სერჟანტ ავაზაშვილის, საზანიშვილის, გოგაშვილის შემადგენლობით, რომლებმაც მანქანის გამტაცებელი, ქ. ყვარელში მცხოვრები, მევლუდ პეტრეს ძე ხარებაშვილი დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში.

მანქანის გამტაცებელი დაპატიმრებულია და სულ მალე მიიღებს საკადრის სასჯელს.

გ. გალუსტოვი,
ყვარლის შს რაიგანყოფილების სამსახურის უფროსი ინსპექტორი.

# ПОПРАВКА

В нашей газете от 16 мая 1983 года на второй полосе в методических рекомендациях в помощь руководителям марксистско - ленинской подготовки среднего и старшего начальствующего состава и политических занятий рядового и младшего начальствующего состава, в указателе литературы одинnадцатую строчку снизу вместо «Обращение коллегии МВД ГССР» следует читать «Обращение коллегии МВД СССР».

# სპეციალისტი პასუხობს

ვმუშაობ ახალციხის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში წინასწარი დაკავების საკნების გუშაგად, დღე-ღამის განმავლობაში 8 (რვა) საათი შეუსვენებლივ.

გთხოვთ განმიმარტოთ, თვეში რამდენჯერ მეკუთვნის დასვენება.

გ. ბეხტურიშვილი.

როგორც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის კაპიტანმა გ. ლუკიანოვმა გვაცნობა:

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1977 წლის 28 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, წინასწარი დაკავების საკნის გუშაგი, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს 5 საათს, ეკუთვნის ერთი საათით შესვენება. ვინაიდან თქვენ მუშაობთ 8 (რვა) საათს, თანაც შეუსვენებლივ, კვირაში უნდა დაისვენოთ ორი დღე. ე. ი. თვეში რვაჯერ.

# განცხადება

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი 1983 წლის 18 ივნისს, 12 საათზე, დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე შემსვლელთათვის აწყობს

„აბიტურიენტის დღეს"

შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ ფაკულტეტის ხელმძღვანელები, პროფესორ-მასწავლებლები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

# ОБЪЯВЛЕНИЕ

**Тбилисский факультет Московской высшей школы милиции МВД СССР (Керченский переулок, № 1), 18 июня 1983 года в 12.00 часов для абитуриентов очного и заочного отделений проводит**

**«ДЕНЬ АБИТУРИЕНТА».**

**С абитурентами встретятся и на их вопросы ответят руководство факультета, профессорско-преподавательский состав, представители партийной и комсомольской организаций.**

**РУКОВОДСТВО ФАКУЛЬТЕТА.**

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართი: 380004, ბესიკის ქ. 4. ტელ. 991-49-09, 991-40-91.
Наш адрес: 380004, ул. Бесики, 4. тел. 991-49-09 991-40-91
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
УЭ 07604